პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 208 (3185) 25 ოქტომბერი, 1966 წ. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი





თბილისის ველოტრეკზე დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — ჯგუფური რბოლის მონაწილენი დისტანციაზე; მარჯვნივ — რესპუბლიკის ჩემპიონი 8 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში, დინამოელი ლ. სტაშევსკაია.

ფოტო ო. გელაშვილისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მორიგ ნომერში)

# დ. გვანცელაძე, თ. მაჭავარიანი — სსრ კავშირის ჩემპიონები

**სვერდლოვსკი, 23 ოქტომბერი.** აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში მჩატე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონების ათლეტთა შორის. ოთხიდან ოქროს 3 მედალი გამოცდილმა მოჭიდავეებმა დაიმსახურეს — კიეველმა ვ. ტროსტიანსკიმ, თბილისელმა დ. გვანცელაძემ და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ნ. შმაკოვმა, საშუალო წონაში ჩემპიონი პირველად გახდა ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი თ. მაჭავარიანი.

მოგვყავს ტურნირის ტექნიკური შედეგები:

**მჩატე წონა:** 1. ვ. ტროსტიანსკი (კიევი), 2. ა. კიმსტაჩი (მოსკოვი), 3. ა. საიადოვი (ბაქო).

**მსუბუქი წონა:** 1. დ. გვანცელაძე (თბილისი), 2. ვ. ნოვოხატკო (ტერნოპოლი), 3. ლ. ლიპატოვი (მოსკოვი).

**საშუალო წონა:** 1. თ. მაჭავარიანი (თბილისი), 2. ვ. ოლეინიკი (ნოვოკუზნეცკი), 3. ა. კიროვი (მოსკოვი).

**მძიმე წონა:** 1. ნ. შმაკოვი (მოსკოვის ოლქი), 2. ა. კოჩნევი (ომსკი), 3. ა. პოდზიუმსკი (მოსკოვი).

დანარჩენი 4 წონითი კატეგორიის წარმომადგენლები ოქროს მედლებისთვის ბრძოლას დაიწყებენ ხვალ, ლენინაკანში.

# თასის ახალი გაწერა

ს ა რ ა ტ ო ვ ი, 23 ოქტომბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალში ხტომაში. ამ ძვირფას ნადავლს ახალი მფლობელი გაუჩნდა. ეს არის რსფსრ-ს კოლექტივი. II ადგილზე გავიდა თასის შარშანდელი მფლობელი — მოსკოვის ნაკრები, III — ბელორუსიის გუნდი.

პირად შეჯიბრებაში ტრამპლინიდან ქალთა ხტომა მოიგო 17 წლის ბაქოელმა მ. კარპუხინამ, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ბოლო ხტომები, 131,57 ქულა მოაგროვა და 0,48 ქულით აჯობა ი. კაზაკოვას (მოსკოვის ოლქი). III ადგილზე გავიდა დნეპროპეტროვსკელი ლ. ასაევა — 125,92.

კოშკიდან ვაჟთა ხტომაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ს. კოჩარიანი (სომხეთი) — 151,62, II. ვ. პოგოჟევი (მოსკოვის ოლქი) — 144,96, III. ვ. სარიბეკიანი (სომხეთი) — 141,90. ქალთა შორის ამ სახეობაში ასპარეზობა მოიგო მასპინძელმა, 19 წლის სტუდენტმა გ. შჩერენკოვამ. უკანასკნელი ნახტომის წინ იგი მხოლოდ III იყო, მაგრამ ბოლო ვარჯიში უნაკლოდ, დიდოსტატურ სტილში შეასრულა და გაიმარჯვა — 92,76 ქულა. II ადგილზეა კიეველი თ. სარქისოვა — 87,94. III — ლენინგრადელი ო. ვასილიევა — 81,36.

გ. შჩერენკოვას მწვრთნელი ს. პორტნოვი ა. მატვეევსაც ავარჯიშებს და ამ ჭაბუკმაც ისახელა თავი. ტრამპლინიდან ხტომაში 20 წლის ოსტატმა 147,32 ქულა მოაგროვა და 14 ქულით აჯობა პოგოჟევს. მოსკოველმა გ. რუსაკოვმა III ადგილი დაიკავა — 131,55.

# „ვინგისის" პარკში „ნაპოვნი ოქრო"

### პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის ფინალში

**ვილნიუსი, 24 ოქტომბერი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ ქალაქისპირა „ვინგისის" პარკში გაიმართა პროფკავშირულ-კომკავშირული საკავშირო მძლეოსნური კროსის ფინალი, რომელშიც ყველა მოძმე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 17 გუნდის 350 ათლეტი მონაწილეობდა.

ასპარეზობის სანახავად მოსული ათასობით ვილნიუსელი გაახარა ვილნიუსის პედინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ა. ალექსეიუნასმა. შარშანდელი შეჯიბრების „ვერცხლის" მფლობელმა 8000 მეტრზე რბენაში ახლა ოქროს მედალი მოიპოვა. მისი შედეგია 24.05,5. II იყო ალმაათელი სტუდენტი ა. ბადრანკოვი — 24.06,0, III — ვ. შაშმურინი (ბელორუსია) — 24.16,0.

**2000 მეტრზე** ქალთა რბენაში საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს: ვ. მუხანოვამ (მოსკოვი) — 6.51,6, ე. კოზლოვამ (რსფსრ) — 6.52,4 და ტ. რაპონავიჩენემ (ლიტვა) — 6.59,0.

**3000 მეტრზე** ჭაბუკთა რბენა მოიგო მ. ჟელობოვსკიმ (ბელორუსია) — 8.55,4. თბილისელი ი. ცანავა V იყო. 1000 მეტრზე გოგონების რბენაში ყველას ნ. პოლოსუხინამ (ალმა-ათა) აჯობა — 3.14,9.

საერთო გუნდურ ჩათვლაში თასი რსფსრ-ს ნაკრებმა დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა ლიტვა, III — უკრაინა. საქართველოს ნაკრებმა IX ადგილი დაიკავა, რაც შარშანდელთან შედარებით საგრძნობი წინსვლაა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს ჭაბუკებს, რომლებმაც IV გუნდური ადგილი მოიპოვეს.

ვ. ნედაშკოვსკაი,
გუნდის მწვრთნელი.

# ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### სპორტის ოსტატი და ნახევარი საუკუნე

სვერდლოვსკის დინამოელმა ილია კოლესნიკოვმა ჩემპიონობა ვერ მოიპოვა ქალაქობანაში, მაგრამ სსრ კავშირის სპორტის ოსტატის სახელით კი დაბრუნდა ბრიანსკიდან, სადაც „დინამოს" რსფსრ-ს საბჭოს პირველობა ტარდებოდა. 54 წლის სპორტსმენმა თამაშის მაღალი კლასი უჩვენა, 90 ფიგურას მხოლოდ 151 სროლა მოანდომა.

ახალბედა სპორტის ოსტატი სახანძრო ნაწილის განყოფილების უფროსია. იგი უკვე 30 წელია ომობს ცეცხლთან, მუდამ ჯანმრთელი და ამტანია. კოლესნიკოვმა ნაწილში ქალაქობანას სექცია ჩამოაყალიბა, მოედანი მოაწყო და ახლა თავის კოლეგებს სპორტული თანრიგებისთვის ამზადებს.

სვერდლოვსკი.

### თქვენთვის, სპორტსმენებო!

ყირგიზეთის რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში დაიწყო ახალი სტადიონების მშენებლობა. რესპუბლიკის კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მოიწონეს პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების თაოსნობა — საკუთარი ძალებით მოაწყონ სპორტული ბაზები. ყირგიზეთის სამხრეთ ქალაქების ჯალალ-აბადისა და კოკ-იანგაკის საზოგადოებრიობამ, მაგალითად, ივალდებულა ააგოს 5-ათასადგილიანი სტადიონები. სპორტულ მშენებლობაში ჩაება პარტიის XXII ყრილობის სახელობის, „როსიის", ლენინის სახელობის კოლმეურნეობების ახალგაზრდობა.

ფრუნზე

• • •

ჩელიაბინსკელმა სპორტის მოყვარულებმა კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მიიღეს, — მწყობრში ჩადგა ჩელიაბინსკის მილსავლინავი ქარხნის სპორტის სასახლე. ახალი, ლამაზი შენობა სმოლინოს ტბის პირასაა აღმართული. სპორტული დარბაზი საცურაო აუზს უერთდება. ეს პირველი ზამთრის აუზია სამხრეთ ურალში, 25-მეტრიანი ბილიკებითა და წყალში სახტომი კოშკებით. ღია ცის ქვეშ მოაწყვს ჩოგბურთის კორტები, მოედნები ფრენბურთისა, კალათბურთისა და ქალაქობანასთვის. იქვე ახლოსაა განლაგებული ფეხბურთის მინდორი და ჰოკეის ზამთრის სტადიონი.

ჩელიაბინსკი.

### ჭალარა მთების სიჭაბუკე

დაღესტანს თამამად შეიძლება ეწოდოს „სპორტსმენთა რესპუბლიკა". ამ ჭაღარა მთების ქვეყნის ყოველი მეხუთე კაცი სპორტსაა ნაზიარები. დაღესტნის ხალხთა სპარტაკიადაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა, ბევრმა ისახელა თავი მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთსა და ფეხბურთში. მაგრამ ამ „ახალ" სახეობებთან ერთად სათანადო პატივს სცემენ მთიელთა ეროვნულ სპორტულ სახეობებსაც — ქვის ტყორცნას, ჭიდაობას, ბაგირზე სიარულს.

კიდევ ერთი სასიკეთო ნიშანი: თუ ადრე მხოლოდ ვაჟები ცდიდნენ ბედს სპორტულ სარბიელზე, ახლა მათს მხარდამხარ ბევრი მთიელი ქალიშვილიც ასპარეზობს.

რესპუბლიკაში ახლა 400 კომპლექსური სპორტული მოედანი, ფეხბურთის 3 ათასი მინდორი და 80 სპორტული დარბაზია. მიმდინარეობს მახაჩყალის სტადიონის კეთილმოწყობა (იგი 15 ათას მაყურებელს დაიტევს), შენდება ახალი სტადიონები ხასავიურტსა და დერბენტში.

დაღესტნის სპარტაკიადაში მთიელთა 20 სხვადასხვა ერის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

მახაჩყალა.

# სპორტული საათი

◆ კაპულკა, [illegible] მოცურავეთა [illegible] საერთაშორისო შეჯიბრებაში ა. მოსკამ[illegible] მა (საფრანგეთი) 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 4.10,8.

### სტუმრად 120 საათით

სსრ კავშირის თასი კრივში სულ რაღაც 120 საათით ესტუმრა ლენინაკანს. ეს ის დროა, ვიდრე აქ ამ უმაღლესი ჯილდოსთვის ერთმანეთს ებრძოდნენ ჩვენი ქვეყნის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ნაკრები გუნდები. ხუთდღიან ბრძოლაში გუნდური გამარჯვება საბჭოთა არმიის ათლეტებმა მოიპოვეს და თასი შეინარჩუნეს. არმიელებმა, რომლის სპორტულ ღირსებას იცავდნენ რომის ოლიმპიადის, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ო. გრიგორიევი, ევროპის ჩემპიონი ვ. ბარანიკოვი, სსრ კავშირის ჩემპიონები ა. კისელიოვი, გ. სოლომონოვი, ა. შაშკოვი და სხვები, ფინალში დიდი ანგარიშით (8:2) მოუგეს სპარტაკელებს.

III ადგილისთვის ბრძოლაში „შრომეთი რეზერვებმა" დაამარცხა „ტრუდი" — 6:4.

# გუშინ...

### მასპინძლების 2 რეკორდი

ჩვენი დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო საქართველოს და უზბეკეთის მძლეოსანთა ნაკრებების გუნდების ამხანაგური მატჩი. ეს ჩვენი ათლეტების ძალთა უკანასკნელი შემოწმებაა რესპუბლიკური ჩემპიონატისთვის, რომელიც 30 ოქტომბერს აქვე დაიწყება.

პირველი დღის შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ — 87:71. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტ. ბახტაძისა და ა. კორნეიჩუკის წარმატება. ბახტაძემ (მწვრთნელი რ. ტრაპაიძე) 400 მეტრზე რბენაში 47,7 წამი აჩვენა და 0,1 წამით გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი, რომელიც მანვე ზუსტად 20 დღის წინ ლენინაკანში, ოლიმპიური გუნდების მატჩში დაამყარა. თბილისელმა ა. კორნეიჩუკმა (მწვრთნელი კ. მალიშკოვი) საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში — 3.50,2. სიმაღლეზე ვაჟთა ხტომაში გაიმარჯვა თ. მდივანმა, რომელმაც პირადი რეკორდი გაიმეორა — 209 სმ.

საქმენი მოგვითხრობს

# „იმედის თასის“ ფინიში

კისლოვოდსკი, 23 ოქტომბერი. დამთავრდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის გათამაშება ფეხბურთში. „იმედის თასი“ მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა, რომლებმაც გადამწყვეტი ბრძოლა დამატებით დროში მოუგეს ლენინგრადის ფეხბურთელებს — 2:1. ბრინჯაოს მედლები ბელორუსიის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

ზემოდასახელებული 3 კოლექტივის გარდა, ტურნირში მონაწილეობდნენ: მოსკოვის, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის გუნდები.

# სსრ კავშირის პირველობა

## „ჩოკა“ I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 20 | 9 | 1 | 60—12 | 49 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 31 | 15 | 8 | 8 | 48—24 | 38 |
| ცსკა | 29 | 15 | 7 | 7 | 55—37 | 37 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 30 | 14 | 8 | 8 | 47—30 | 36 |
| ასკ (როსტოვი) | 30 | 15 | 6 | 9 | 45—41 | 36 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 28 | 12 | 9 | 7 | 37—32 | 33 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 11 | 10 | 9 | 38—28 | 32 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 31 | 11 | 10 | 10 | 39—32 | 32 |
| „დინამო“ (მინსკი) | 32 | 10 | 12 | 10 | 33—33 | 32 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 31 | 11 | 10 | 10 | 26—30 | 32 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 29 | 8 | 15 | 6 | 26—26 | 31 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 29 | 13 | 5 | 11 | 28—30 | 31 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 32 | 10 | 8 | 14 | 33—47 | 28 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 31 | 8 | 11 | 12 | 25—33 | 27 |
| „არარატი“ (ერევანი) | 30 | 8 | 10 | 12 | 22—41 | 26 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 31 | 9 | 4 | 18 | 27—42 | 22 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 29 | 7 | 6 | 16 | 34—52 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 31 | 3 | 14 | 14 | 17—38 | 20 |
| ასკ (ოდესა) | 30 | 1 | 10 | 19 | 13—45 | 12 |

• • •

კვირას ალმა-ათაში თამაშობდნენ ადგილობრივი „კაირატი“ და ოდესის ასკ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

## „ჩოკა“ II ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 31 | 18 | 7 | 6 | 45—22 | 43 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 32 | 13 | 15 | 4 | 52—26 | 41 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 32 | 15 | 9 | 8 | 46—19 | 39 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 32 | 12 | 15 | 5 | 35—17 | 39 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 32 | 15 | 9 | 8 | 32—23 | 39 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 32 | 12 | 12 | 8 | 43—36 | 36 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 31 | 13 | 9 | 9 | 41—30 | 35 |
| „თერგი“ (გროზნო) | 32 | 11 | 11 | 10 | 26—28 | 33 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 32 | 12 | 8 | 12 | 35—36 | 32 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 32 | 12 | 8 | 12 | 26—33 | 32 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 32 | 10 | 9 | 13 | 31—37 | 29 |
| „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 31 | 8 | 12 | 11 | 35—40 | 28 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 32 | 8 | 11 | 13 | 24—32 | 27 |
| „ბალტიკა“ (კალინინგრადი) | 32 | 8 | 10 | 14 | 20—32 | 26 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 31 | 6 | 12 | 13 | 15—29 | 24 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 32 | 7 | 8 | 17 | 25—55 | 22 |
| „დინამო“ (ტალინი) | 32 | 4 | 7 | 21 | 16—50 | 15 |

• • •

„დინამო“ (კიროვაბადი) — „თერგი“ (გროზნო) 0:2
„ყუბანი“ (კრასნოდარი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 8:0
„სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 2:1
„დინამო“ (ტალინი) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი) 0:0
„დაუგავა“ (რიგა) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 1:1

# პიონერთა საქალაქო...

ფინიშთან მივიდა თბილისის პიონერთა საქალაქო თამაშები. პროგრამით გათვალისწინებული იყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ცურვაში, კალათბურთსა და ტანვარჯიშში.

საინტერესოდ წარიმართა ნორჩ ფრენბურთელთა ფინალური შეხვედრები. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეერკინენ 41-ე (კალინინის რაიონი) და 54-ე (ორჯონიკიძის რაიონი) საშუალო სკოლების ბიჭები. 54-ე სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს „მშრალი“ ანგარიშით — 2:0 (15:3, 17:15). გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით ისახელეს თავი ზ. მარგველაშვილმა და ი. ნადარეიშვილმა.

ფრენბურთელ გოგონათა ასპარეზობის ფინალში 103-ე სკოლის (26 კომისრის რაიონი) მოსწავლეებმა მოუგეს 72-ე საშუალო სკოლის (კიროვის რაიონი) წარმომადგენლებს — 2:0 (15:3, 21:19).

100 პიონერი გამოვიდა ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის სარბენ ბილიკებსა და სექტორებზე მძლეოსნურ ოთხჭიდში საასპარეზოდ. ბიჭებში უძლიერესი იყო 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. უზმორსკი, გოგონებში კი — ნ. დალაქიშვილი (65-ე საშუალო სკოლა). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს 52-ე სკოლის ბიჭებმა და 65-ე სკოლის გოგონებმა.

ტანმოვარჯიშე ბიჭებში გუნდური გამარჯვება 51-ე საშუალო სკოლის ნორჩებს ხვდათ (ორჯონიკიძის რაიონი), გოგონებში კი — მე-4 საშუალო სკოლის სპორტსმენებს (ლენინის რაიონი). პირად ჩათვლაში ყველას აჯობეს: ბიჭებში — ი. ნემსაძემ (მოზარდთა I თანრიგი, 55,65 ქულა, 51-ე საშუალო სკოლა), გოგონებში — კ. კობერიძემ (მოზრდილთა II თანრიგი, 73,95 ქულა, 24-ე საშუალო სკოლა).

ნორჩ მოცურავეთა გუნდურ ასპარეზობაში, როგორც ბიჭებში (27-ე საშუალო სკოლა), ისე გოგონებში (116-ე საშუალო სკოლა) საუკეთესონი იყვნენ 1 მაისის რაიონის წარმომადგენლები.

აი, პირად ჩათვლაში გამარჯვებულები: გ ო გ ო ნ ე ბ ი. ვ. კორნიენკო (116-ე სკ.) — 50 მ თავისუფალი სტილით და ზურგზე ცურვა (36,2 და 40,8 წამი); ლ. კუხიანიძე (116-ე სკ.) — 50 მ ბრასით (47,7); მ. ფომინა (მე-13 სკ.) — 50 მ დელფინით ცურვა (49,0); 116-ე სკ. — ესტაფეტა 4×50 მ (3.02,0); ბ ი ჭ ე ბ ი. ვ. გონჩაროვი (27-ე სკ.) — 50 მ თავისუფალი სტილით და ზურგზე ცურვა (31,7 და 39,0); ა. ხარებავა (27-ე სკ.) — 50 მ ბრასით (42,7); მ. წიქორიძე (50-ე სკ.) — 50 მ დელფინით ცურვა (36,4); 27-ე სკ. — ესტაფეტა 4×50 მ (2.38,4).

კალათბურთელ ბიჭებში ყველას აჯობეს 43-ე სკოლის (კალინინის რაიონი) ნორჩებმა, რომლებმაც ფინალური მატჩი მოუგეს მე-60 სკოლის (ორჯონიკიძის რაიონი) წარმომადგენლებს — 29:19. გოგონათა შეჯიბრების ფინალში კი 117-ე სკოლის გუნდმა (26 კომისრის რაიონი) დაამარცხა 43-ე სკოლის კოლექტივი — 31:10.

• • •

მაშ ასე, პიონერთა საქალაქო თამაშები დამთავრდა.... 26 ოქტომბრიდან თბილისელი მოსწავლეები პიონერთა III რესპუბლიკური თამაშების ფინალურ ასპარეზობაში ჩაებმებიან.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო თამაშები ნაკლისგან დაზღვეული არ იყო. მაგალითად, ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიუღიათ კალინინის რაიონის ტანმოვარჯიშე ბიჭებს, 1-ლი მაისისა და ოქტომბრის რაიონების ტანმოვარჯიშე გოგონებს. არც 26 კომისრისა და კიროვის რაიონების ნორჩ მოცურავეებს უცდიათ ძალა თანატოლთა შეჯიბრებაში.

უსიამოვნო ფაქტს წავაწყდით ფრენბურთელ გოგონათა ტურნირში: 61-ე საშუალო სკოლის (ორჯონიკიძის რაიონი) გუნდში 62-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე ე. წიქარაძე და სამგორის საშუალო სკოლის მოსწავლე თ. გულისაშვილი გამოვიდნენ (!). მსაჯთა კოლეგიამ, ცხადია, ორივე ყალბისმქნელი მოხსნა შეჯიბრებიდან. ამ თამაშებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთვა გუნდსაც, რომელიც ორჯერ არ გამოცხადდა საასპარეზოდ. საინტერესოა, რით ახსნის ამას 61-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი მ. ლალანიძე?

ვ. ზუკია.



• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის 43-ე და მე-60 საშუალო სკოლების ნორჩ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ავტორისა.

# ბევრი იყოს ასეთი „დღე“

მძლეოსნობის ვეტერანის თ. დოლაბერიძის თაოსნობით რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლამ ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის სპორტულ ბაზებზე ჩაატარა „მრავალჭიდელის დღე“. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქალაქის საშუალო სკოლების 13-15 წლის მოსწავლეები. თავი გამოიჩინეს: 60 მეტრზე გოგონათა რბენაში — ა. გოცაძემ და თ. ჭანკვეტაძემ, რომლებმაც ერთნაირი დრო (8,4 წამი) აჩვენეს. ბიჭებში უძლიერესნი იყვნენ ე. ხარატიშვილი, შ. ნანიკაშვილი და ვ. ხრიპკოვი — 7,5 წამი.

სიმაღლეზე ხტომა გოგონებში მოიგო ი. ლოლაძემ — 135 სმ, ბიჭებში კი იმარჯვა ე. ხარატიშვილმა — 170 სმ.

სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა ვ. ხრიპკოვმა — 575 სმ.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და გარდამავალი ვიმპელი მე-4 სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებლები — პ. მალაღურაძე და გ. ფერაძე) კოლექტივმა დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ თ. დოლაბერიძის თაოსნობით ანალოგიური შეჯიბრებანი — „მხტომელის დღე“, „მტყორცნელის დღე“, „მორბენლის დღე“ ადრეც ჩატარდა.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

# უჩვეულო ექსპერიმენტი

პირველი, ვინც თბილისის მსუბუქი ტაქსების 1-ლ კანტორაში შეგვხვდა, უფროსი ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვ. ბეთანელი იყო. მან გვიამბო ავტომობილისტთა სექციის მუშაობაზე, რომელსაც აგერ მეექვსე წელია ხელმძღვანელობს.

ეს სექცია ყველაზე მრავალრიცხოვანია კანტორაში: 10 სპორტის ოსტატს, 18 პირველთანრიგოსანსა და სხვა თანრიგების 60 სპორტსმენს აერთიანებს. აქ ხშირად იმართება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. მარტო ორჭიდელთა (ფიგურული სვლა და საწვავის ეკონომია) ასპარეზობაში 180 მძღოლი მონაწილეობდა.

პირველი კანტორის სპორტსმენ-ავტომობილისტებს დიდ სარბიელზეც უსახელებიათ თავი. სპორტის ოსტატმა ი. ვარდპატრიკოვმა სსრ კავშირის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა საგზაო-რკალურ რბოლაში. ბრინჯაოს პრიზიორს საერთაშორისო ასპარეზობებშიც უცდია ძალა როგორც სსრ კავშირის ნაკრების წევრს. სპორტის ოსტატები შ. ზარდიაშვილი, ო. გარსევანიშვილი, შ. მამრიკიშვილი, ბ. სუხიშვილი, კ. ჩერკაშინი „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის პირველობის პრიზიორები არიან. შარშან 1-ლი კანტორის ავტომობილისტებმა რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვეს როგორც საგზაო-რკალურ რბოლაში, ისე ავტორალში.

ჰყავდათ ფეხბურთელთა კარგი გუნდიც. შარშანწინ მან III ადგილი დაიკავა ორჯონიკიძის რაიონის ჩემპიონატში, შარშან კი ფიზკულტურული კოლექტივების ტურნირში ითამაშა და ყველას აჯობა.

შარშანვე მოეწყო შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკსა და სხვა სახეობებში.

მაგრამ, როგორც მკითხველიც შეამჩნევდა, ყველა ეს წარმატება შარშანდელია. წლეულს კი ფიზკულტურულ კოლექტივს, რომ იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებია. საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადამდე კი არც ისე დიდი დრო დარჩა.

რამ გამოიწვია მუშაობის ასე უეცარი შენელება? ყველაფერი დაიწყო მას შემდეგ, რაც საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტად დირექციამ კანტორის კადრების განყოფილების ინსპექტორი ვ. ბარიშვილი დანიშნა და მასვე დაავალა ფიზკულტურული საქმიანობის გაძღოლა. ადამიანმა, რომელსაც არავითარი ფიზკულტურული განათლება არ გააჩნია, რა თქმა უნდა, ნდობა ვერ გაამართლა. მოიშალა სექციების მუშაობა და ფიზკულტურული კოლექტივის არსებობის ერთადერთი დამადასტურებელი ნიშანი ავტომობილისტთა ჯგუფების საქმიანობა იყო.

და ასე გაგრძელდა, ვიდრე ფიზკულტურელებმა განგაში არ ატეხეს, ვიდრე საქმეში არ ჩაერიენ საავტომობილო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო. კანტორის დირექციამ მხოლოდ ამის შემდეგ დაასკვნა, რომ ბარიშვილი ფიზკულტურის მეთოდისტად არ გამოდგებოდა.

სამწუხაროა, რომ ეს უჩვეულო ექსპერიმენტი ერთობ დიდხანს გაგრძელდა და კარგ ფიზკულტურულ კოლექტივს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კანტორაში, სადაც 1700 კაცი მუშაობს, წლეულს არც ერთი თანრიგოსანი არ მომზადებულა, ამ კოლექტივიდან არც ერთი წევრი არ შემატებია „სპარტაკის“ რიგებს.

ბარიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. უდავოა, ფიზკულტურული კოლექტივის ახალ ხელმძღვანელს დიდი შრომა მოუწევს, — ზოგადგამაჯანსაღებელი ჯგუფების ჩამოყალიბება, საწარმოო ტანვარჯიშისა და სექციების საქმიანობის მოგვარება, ფრენბურთის, ძალოსნობის, სროლის სექციების შექმნა. ამას მოითხოვენ 1-ლი კანტორის მძღოლები და მექანიკოსები.

ბ. დონაძე.



დაბრუნება...

ფოტოეტიუდი ლ. ლლონტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართლიანი შედეგი

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. ფეხბურთის მოყვარულებს ასეთი საინტერესო მატჩი კარგა ხანია არ უნახავთ. გდრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების დღევანდელ შეხვედრაში იყო ყველაფერი, რაც აგრერიგად მოსწონს მაყურებელს: სახიფათო მომენტები კართან, უეცარი გასვლები, მოულოდნელი დარტყმები, კონებამახვილური კომბინაციები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. შედეგი ზუსტად გამოხატავდა მეტოქეთა ძალების შეფარდებას. ორივე მხარემ ლამაზად და მონდომებულად ითამაშა.

გდრ-ის ნაკრებმა, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, წლეულს მარცხი არ იცის. სტუმრებს აქვთ მაღალი ტექნიკა. ისინი კარგად ფლობენ ბურთს, ორგანიზებულად მოქმედებენ დაცვაში და სახიფათოდ — თავდასხმაში.

ეს ცხადი გახდა მატჩის პირველსავე წუთებზე, როდესაც ნელდნერმა „მოჭრილი" ბურთი შტანგას მოარტყა ისე, რომ იგი არც მცველებს და არც მეკარე იაშინს არ შეხებია...

ჩემი აზრით, სსრ კავშირის ნაკრებს, როგორც იტყვიან, „თამაში გამოუვიდა". მართალია, ცალკეულ რგოლებს შორის ურთიერთკავშირი მუდამ სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა, მაგრამ ფეხბურთელები მოქმედებდნენ აზარტულად, გამარჯვების წყურვილით. კარგი შთაბეჭდილება დატოვა დაცვამ, თავდასხმაში კი ჩისლენკომ, ბიშევეცმა და სტრელცოვმა მეტოქეებს ბევრი უსიამოვნება მიაყენეს.

ანგარიში 22-ე წუთზე გაიხსნა: სტრელცოვმა ზუსტი თავური დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია. მაგრამ მდგომარეობა წუთში გათანაბრდა — მცველმა ფრაისდორფმა ღრმა რეიდი განახორციელა და უშეცდომოდ დაასრულა იგი — 1:1.

შესვენების შემდეგ უფრო ხშირად სსრ კავშირის ფეხბურთელები უტევდნენ. 52-ე წუთზე მათ საწადელს მიაღწიეს — ჩისლენკომ ანგარიში გაზარდა. 16 წუთის შემდეგ კი ფრენცელმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 2:2.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ხურცილავამ (რომელიც ტრავმის შემდეგ აფონინმა შეცვალა) ორჯერ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

გუნდებმა შეხვედრა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს:

— **სსრ კავშირი** — იაშინი, ანდრეიუკი, ხურცილავა (აფონინი), ხოსნიხინი, დანილოვი, ხაბო, მედვიდი, ჩისლენკო (ბანიშევსკი), ბიშევეცი, სტრელცოვი, პარკუიანი (ევრიუჟიხინი).

**გდრ-ის ნაკრები** — ბლოხვიტცი, ფრაისდორფი, ვალტერი, ჰაისლერი, პაკაუ, კერნერი, ირმშერი (დუკე), ნელდნერი, ფრენცელი, ერლერი, ფოგელი.

ა. ერმაკოვი.

• • •

გასულ კვირას ლუგანსკში კიდევ ერთი საერთაშორისო მატჩი გაიმართა. თამაშობდნენ სსრ კავშირისა და გდრ-ის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები გუნდები. 90-წუთიანმა ბრძოლამ ვერ გამოავლინა უძლიერესი. შეხვედრა იქაც ფრედ — 0:0 — დამთავრდა.




## ცვლილებები კალენდარში

**„ა" კლასი, I ჯგუფი**

**25 ოქტომბერი.** „ლოკომოტივი" — „დინამო" (მინსკი).

**26.** „არარატი" — „სპარტაკი", „ჩერნომორეცი" — „შახტიორი", ასკ (როსტოვი) — ცსკა, „კრილია სოვეტოვი" — „ზენიტი".

**27.** „პახტაკორი" — ასკ (ოდესა).

**30.** „შახტიორი" — „ნეფტიანიკი", ასკ (როსტოვი) — „კრილია სოვეტოვი", „სპარტაკი" — „დინამო" (მინსკი), „ზენიტი" — „კაირატი".

**31.** ცსკა — „ლოკომოტივი".

**1 ნოემბერი.** „ტორპედო" (მოსკოვი) — „არარატი".

**3.** „დინამო" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი", „ზენიტი" — „პახტაკორი".

**4.** „არარატი" — „ლოკომოტივი", „ჩერნომორეცი" — ასკ (როსტოვი), „შახტიორი" — „დინამო" (მინსკი), **„სპარტაკი" — „დინამო" (თბილისი).**

**5.** **ცსკა — „ტორპედო" (ქუთაისი).**

**6.** „დინამო" (მოსკოვი) — „ზენიტი".

**8.** „ნეფტიანიკი" — ასკ (ოდესა), **„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი".**

**9.** „ჩერნომორეცი" — „არარატი", ცსკა — „კაირატი", „ლოკომოტივი" — ასკ (როსტოვი).

**10.** „პახტაკორი" — „კრილია სოვეტოვი".

**12.** „დინამო" (კიევი) — „არარატი", „დინამო" (მოსკოვი) — ასკ (ოდესა).

**13.** **„ტორპედო" (ქუთაისი) — ასკ (როსტოვი), „დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი",** „ტორპედო" (მოსკოვი) — „კაირატი".

**14.** „შახტიორი" — „სპარტაკი".

**16.** „დინამო" (კიევი) — „ნეფტიანიკი", „პახტაკორი" — „დინამო" (მოსკოვი), „კრილია სოვეტოვი" — ცსკა.

**17.** „არარატი" — „შახტიორი", „კაირატი" — „ლოკომოტივი", „ტორპედო" (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი", ასკ (როსტოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი).

**18.** „სპარტაკი" — ასკ (ოდესა).

**20.** „პახტაკორი" — „დინამო" (კიევი), „დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი), ცსკა — „დინამო" (მინსკი).

**21.** „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი).

**22.** „კაირატი" — „სპარტაკი".

**24.** „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (კიევი), „ნეფტიანიკი" — ცსკა.

**25.** „პახტაკორი" — „სპარტაკი".

**26.** ასკ (ოდესა) — „შახტიორი".

**27.** **„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი), „ტორპედო" (ქუთაისი) — „ტორპედო" (მოსკოვი).**

**30.** „ტორპედო" (მოსკოვი) — „პახტაკორი", „ნეფტიანიკი" — „სპარტაკი", **„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (თბილისი).**

**2 დეკემბერი.** ასკ (ოდესა) — „დინამო" (კიევი).

# ყველაფერი თავიდან იწყება

მოკავშირე რესპუბლიკების „ბ" კლასის ფეხბურთელთა ფინალური ტურნირის გამართვაზე პრეტენზიას მხოლოდ ტყიბული როდი აცხადებდა, მაგრამ ახლა, როცა ფეხბურთელები, მსაჯები და შეჯიბრების ჩამტარებელი ოფიციალური პირები ამ ქალაქს ეწვივნენ, ცხადი გახდა, რომ არჩევანში არ შემცდარან: სტუმრები კმაყოფილი არიან ამინდით და გულთბილი მიღებით.

ფინალური შეჯიბრება უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული. ყველა გუნდს ჰყავს შეფები, რომლებიც თავს დასტრიალებენ ფეხბურთელებს. ლენინის სახელობის მაღარო გროდნოს „ნემანს" მასპინძლობს, ორჯონიკიძის სახელობისა — კაფანის „ლერნაგორცს", ხოლო დასავლეთის მაღარო — სუმგაითის „ფოლადს". ტყიბულის საწარმო-დაწესებულებებმა დააწესეს 6 სპეციალური პრიზი, რომლებიც გადაეცემათ: საუკეთესო მეკარეს, მცველს, ნახევარმცველს, თავდამსხმელს, ბომბარდირსა და ერთ რომელიმე გუნდს სამართლიანი თამაშისთვის. ტურნირში გამარჯვებული გუნდის წევრები იღებენ ოსტატობას და „ა" კლასის II ჯგუფში გადასვლის პერსპექტივას.

კვირას, 23 ოქტომბერს, ფინალური ტურნირი საზეიმოდ გაიხსნა „განთიადის" სტადიონზე. ფეხბურთელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პარტიის ქალაქკომის მდივანმა ვ. სახვაძემ. სსრ კავშირისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციების სახელით გუნდებს ტურნირში წარმატება უსურვა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა დ. ცომაიამ.

მერე გაიმართა 2 მატჩი.

**„მეშახტე" (ტყიბული) — „ფოლადი" (სუმგაითი) 0:0.**

**„მეშახტე":** ძიძიგური, ბზიკაძე, ჩუბინიძე, ნაზაროვი, ჩიტიანი, ლეჟავა, ჩხენკელი, დუნდუა, ფირცხალავა (პერტენავა), ავალიანი, მელიქიძე.

**„ფოლადი":** ზახაროვი, ჯალილოვი, ახუნდოვი, ფეოდოროვი, მარჩენკო, შჩერბინი, ზულკარნიევი, პოლოხოვი, გუსაროვი, ჯავალ-ზადე, სტუპინი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

სუმგაითის კოლექტივი ძლიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. „ფოლადის" ხერხემალი, მისი მთავარი დამრტყმელი ძალაა 5 სპორტის ოსტატი, ადრე რომ „ნეფტიანიკსა" და კიროვაბადის „დინამოში" გამოდიოდა. ამიტომ გაკვირვება გამოიწვია სტუმრების არჩეულმა დაცვითმა ვარიანტმა. „ფოლადმა" თავისი კარის მისადგომებთან 5 ფეხბურთელი დასწია, რომელთა შორის ერთს — ახუნდოვს „მწმენდავის" ფუნქციები დაეკისრა.

„მეშახტეს" მატჩის პირველივე წუთიდან საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მთელი ძალით გუნდი მაინც ვერ უტევდა: მოთამაშეები ზომაზე მეტად ნერვიულობდნენ.

ტყიბულელთა თავდასხმის ლიდერი ფირცხალავა ერთ-ერთი იერიშის დროს დაშავდა. იგი პერტენავამ შეცვალა, მაგრამ ულიდერობა გუნდს აშკარად დაეტყო. შეხვედრის პირველ ნახევარში მეკარე ძიძიგურმა რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია სტუპინისა და გუსაროვის დარტყმების შემდეგ.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. ტყიბულელი ფეხბურთელები მეტოქის კარს გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ გოლი არ ჩანდა. „ფოლადი" მთელი გუნდით გააფთრებით იცავდა თავს.

**„ლერნაგორცი" (კაფანი) — „ნემანი" (გროდნო) 1:1 (1:0).**

**„ლერნაგორცი":** ხაჩატრიანი, ავეტისიანი, ავანესიანი, დარბინიანი, სააკიანი, მათევოსიანი, კერბასიანი, სარქისიანი, ოვსეპიანი, გრიგორიანი, ლისაკი.

**„ნემანი":** წერეთელი, ხომენკოვი, სტასიუკი, ბურაშოვსკი, ზლატინი, ჩერნოცკი, ზაბოლოცკი, კრივონოსოვი, ლეტიაგო, ბოროზნია, გოლოვაცკი (ვასილიევი).

მსაჯი პ. გავრილიადი (სოჭი).

მატჩი კაფანელთა იერიშებით დაიწყო. „ლერნაგორცის" აგრესიული გარემარბები სისტემატურად გადიოდნენ ფლანგებზე და ცენტრში მაღალ ბურთებს აწოდებდნენ. გროდნოს მცველებს უჭირდათ ტანმაღალ მეტოქეებთან ორთაბრძოლა. განსაკუთრებით დაუღალავად და სახიფათოდ მოქმედებდა ლისაკი. სწორედ მან შეხვედრის მე-10 წუთზე ოსტატურად მიიღო ოვსეპიანის მაღალი მოწოდება და გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა, ოღონდ, „ნემანის" თავდამსხმელებმა მწვავე კონტრშეტევები წამოიწყეს. ერთ-ერთმა მათგანმა გუნდს წარმატებაც მოუტანა. საინტერესოა ითქვას, რომ ვასილიევმა, რომელმაც გოლოვაცკი შეცვალა, პირველივე დარტყმა გოლით აღნიშნა — 1:1.

როგორც ხედავთ, უძლიერესი ვერც ერთმა მატჩმა ვერ გამოავლინა: ყველაფერი თავიდან იწყება.

ბ. ქორქია.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

ტყიბული.

# ჰავანა — საჭადრაკო ეპიცენტრი

თავისუფლების კუნძულის დედაქალაქში დღეს გაიხსნება XVII მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. ჭადრაკის მილიონობით მოყვარულთა ყურადღებას თითქმის მთელი თვის მანძილზე მიიპყრობს ცნობილი სასტუმრო „ჰავანა ლიბრე". უნდა ითქვას, რომ დღემდე მსოფლიოს არც ერთ გუნდურ პირველობას არ გამოუწვევია ესოდენ დიდი ინტერესი.



ტ. პეტროსიანი

კუბის საჭადრაკო ფედერაციამ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მხარდაჭერით (კომიტეტს მეთაურობს კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო) ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ 50 ქვეყნის ნაკრები გუნდების შეჯიბრებამ კარგად ჩაიაროს.



ბ. სპასკი

ახლანდელი ოლიმპიადების წინამორბედის—„ერთა ტურნირის" ისტორიას დასაბამი 1927 წლიდან დაედო. ამ საჭადრაკო ფორუმებში მონაწილეობდნენ ჩვენი პლანეტის უძლიერესი დიდოსტატები ალექსანდრე ალიოხინი და ხოსე-რაულ კაპაბლანკა, მაქს ეივე და გეზა მაროცი, რიჰარდ რეტი და ერნსტ გრიუნფელდი. მაგრამ მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის ტიტული „ერთა ტურნირებმა" მოიპოვეს მხოლოდ ომის შემდგომ, როცა საჭადრაკო ოლიმპიადების გამართვა ორ წელიწადში ერთხელ დაიწყეს და სარბიელზე საბჭოთა ოსტატები გამოჩნდნენ. ჩვენმა მოჭადრაკეებმა უკვე პირველივე გამოსვლისას (1952 წელს, ჰელსინკში, X ოლიმპიადაში) გაიმარჯვეს და უმაღლესი ჯილდო — ოქროს თასიც დაისაკუთრეს. მას შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ექვს ოლიმპიადაში მოიპოვეს უძლიერესთა სახელი. მათვე ეკუთვნით უპრეცედენტო რეკორდი: 1960 წელს ლაიპციგში სსრ კავშირის გუნდმა ტურნირის ნახევარფინალსა და ფინალში ყველა (ოცივე) მატჩი მოიგო.



მ. ტალი

ჰავანაში ჩვენი ნაკრები წარმოდგენილია ასეთი შემადგენლობით: მსოფლიოს ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი, ბორის სპასკი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ტალი, სსრ კავშირის ჩემპიონი ლეონიდ შტეინი, დიდოსტატები ვიქტორ კორჩნოი და ლევ პოლუგაევსკი. შევნიშნავთ, რომ ჩვენი ოლიმპიური გუნდი ძალიან „გაახალგაზრდავებულია". ეს პირველი შემთხვევაა, რომ ამ დიდ საჭადრაკო ფორუმში მონაწილეობას არ იღებს „დიდებული სამეული" — მიხეილ ბოტვინიკი, ვასილ სმისლოვი და პაულ კერესი.



ლ. შტეინი

● ბოლო ორ ოლიმპიადაში გამარჯვებულთა შედეგები ასეთია:

ვარნა, 1962 წელი. I ადგილი — სსრ კავშირი — 31,5 ქულა 44 შესაძლებლიდან (ჩვენს ნაკრებში გამოდიოდნენ მ. ბოტვინიკი, ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, პ. კერესი, მ. ტალი და ე. გელერი). II — იუგოსლავია — 28, III — არგენტინა — 26, IV — აშშ — 25, V — უნგრეთი — 23 ქულა.



ვ. კორჩნოი

თელ-ავივი, 1964 წელი. I — სსრ კავშირი — 36,5 ქულა 52 შესაძლებლიდან (პეტროსიანი, ბოტვინიკი, კერესი, სმისლოვი, სპასკი, შტეინი), II — იუგოსლავია — 32, III — გფრ — 30,5, IV — უნგრეთი — 30, V — ჩეხოსლოვაკია — 28,5 ქულა. საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა აშშ-ის ნაკრები (27,5 ქულა), რომლის შემადგენლობაში არ გამოდიოდა ფიშერი. ამერიკელებმა სენსაციური ანგარიშით (0:4) წააგეს საბჭოთა მოჭადრაკეებთან. უფრო ცუდად გამოვიდნენ არგენტინელები, რომელთაც მეთაურობდა დიდოსტატი მ. ნაიდორფი. მათ მხოლოდ IX ადგილი დაიკავეს.



ლ. პოლუგაევსკი

● 16 ოლიმპიადიდან მხოლოდ 2 გაიმართა ევროპის ფარგლებს გარეთ: ერთი ბუენოს-აირესში (1939 წ.) და მეორე—თელ-ავივში (1964 წ.). ოლიმპიადა მხოლოდ ერთხელ ჩატარდა მოსკოვში (1956 წ.). ამ 39 წლის მანძილზე თასს ფლობდნენ ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები: თითოჯერ — პოლონეთის, იუგოსლავიისა და გერმანიის, ორჯერ — უნგრეთის, ოთხჯერ — აშშ-ის და შვიდჯერ — სსრ კავშირის მოჭადრაკეები.

● საბჭოთა დიდოსტატებიდან კერესმა მონაწილეობა მიიღო შვიდ, ბოტვინიკმა და სმისლოვმა — 6-6, პეტროსიანმა, გელერმა და ბრონშტეინმა — 4-4, ტალმა — 3, სპასკიმ და კოტოვმა — 2-2, კორჩნოიმ, ტაიმანოვმა, ბოლესლავსკიმ და შტეინმა — თითო ოლიმპიადაში.

● გაითვალისწინა რა საჭადრაკო ოლიმპიადისადმი განუზომელი ინტერესი, კუბის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ „ჰავანა ლიბრეს" პირდაპირ, კინოთეატრის ფასადზე დადგა ელექტრონული კვადრატული ტაბლო (10×10 მ). აქ დემონსტრირებული იქნება ოლიმპიადის ყველაზე საინტერესო საჭადრაკო პარტია. კომენტარებით გამოვლენ კუბელი ოსტატები.

● 28 ოქტომბერს ჰავანაში, ვედადოს რაიონში, საზეიმოდ გაიხსნება კუბაში პირველი „ჭადრაკის სახლი". ამ სახლში უცხოელი სტუმრები სხვა ექსპონატებთან ერთად ნახავენ სხვადასხვა საუკუნეში და სხვადასხვა ქვეყანაში მოპოვებულ „საჭადრაკო რელიქვიებს". ამას გარდა, აქვე მოათავსებენ კუბელი ხალხის გამოჩენილი შვილის ხოსერაულ კაპაბლანკას ნივთებს.

ი. როხლინი.

# ყოველი მხრიდან

## არგენტინელთა გადაწყვეტილება

როგორც ცნობილია, ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და განსაკუთრებით, არგენტინის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლები გულნაკლული დარჩნენ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციითა და მსაჯობით. სწორედ ამით ხსნიან ისინი თავიანთი გუნდების წარუმატებლობასაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ არგენტინის კავშირი იმუქრებოდა, სულ მივატოვებთ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციასო.

ამ დღეებში ფიფა-ს პრეზიდენტს ს. როუზს ჟურნალისტებმა ჰკითხეს რამდენად რეალურია ეს მუქარა. როუზმა განაცხადა: „არგენტინელები დაფიქრდნენ და გადაწყვიტეს, რომ მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად გააკრიტიკეს ჩემპიონატის ორგანიზატორები, დრო იყო თავადაც მოეკიდათ ხელი საქმისთვის, გამოეტანათ სათანადო დასკვნება მსოფლიო პირველობიდან და სერიოზულად ეღონათ რამე, რათა ასეთი მარცხი აღარასოდეს იწვნიონ".

VIII ჩემპიონატის შედეგებსა და 1970 წლის მსოფლიო პირველობისთვის მზადების საკითხებს არგენტინის საფეხბურთო კავშირმა სხდომების მთელი სერია მიუძღვნა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც მიიღო. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის შეიქმნა „მწვრთნელთა აღმასრულებელი ჯგუფი" ა. პედერნერას, ხ. პიცუტის, ო. ზუბელდიას შემადგენლობით. ეს ცნობილი მწვრთნელები მონაწილეობდნენ VIII ჩემპიონატისთვის არგენტინელთა სამზადისში, ახლა კი 3 ეროვნული ნაკრების შექმნას აპირებენ. პირველ გუნდში შევლენ ლონდონის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები და ქვეყნის პირველობის საუკეთესო მოთამაშეები, მეორე ნაკრები დაკომპლექტდება არგენტინის დედაქალაქის ნაკიერი ახალგაზრდა სპორტსმენებით, მესამე კი დანარჩენი კლუბების ახალგაზრდობით. ზუბელდიამ განაცხადა: „ჩვენი საბოლოო ნაკრები ამ 3 გუნდის მოთამაშეებისგან უნდა შეიქმნას. ეს თავიდან აგვაცილებს შემთხვევითობას ფეხბურთელთა შერჩევაში, რაც ბოლო ჩემპიონატის წინ მოხდა".

## ინგრიდის დაბრუნება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ წყალში ხტომაში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ინგრიდ კრიმერმა განაახლა წვრთნა დრეზდენის აუზში. ამ ნიჭიერ სპორტსმენს უკვე ერთი წელია არ მიუღია მონაწილეობა შეჯიბრებებში. ამას წინათ მას ქალიშვილი შეეძინა.

„კარგად ვიცი, რომ დიდ სპორტში დაბრუნება იოლი საქმე არ გახლავთ, — ამბობს კრიმერი. — მაგრამ მსურს ნელ-ნელა შევუდგე წვრთნას და მერე სრული დატვირთვითაც ვივარჯიშო. ყოველ დღეს, როგორც უწინ, ტანვარჯიშით ვიწყებ. დღისით აუზში ვვარჯიშობ, თავისუფალი დრო საერთოდ, არ მრჩება, — მე ხომ ვსწავლობ კიდეც (მსურს მწვრთნელი გავხდე). ამას გარდა, ოჯახსაც მოვლა უნდა. ჩემი მეუღლე მეზღვაურია, იგი უკვე დაბრუნდა სახალხო არმიიდან და ახლა ძალიან მეხმარება. დარწმუნებული ვარ, შევძლებ დავუბრუნდე დიდ სპორტს და იმედი მაქვს, რომ ჩემს 16 წლის დასთან — რიტასთან ერთად გამოვალ სარბიელზე. მან ახლახან მიიღო მონაწილეობა როსტოკის ასპარეზობაში და ჩვენს „ოჯახურ" სახეობაში საუკეთესო შედეგებსაც მიაღწია.

## „ბეისბოლი არეულობის წინააღმდეგ"

დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგმა" ამ სათაურით გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი წერილი. სათაურს ერთგვარ ახსნას აძლევს სტატიის ქვესათაური: „ამერიკაში სპორტის ყოველი სახეობა დემონსტრანტებს ტელევიზორებს აჯაჭვავს". თუმცა, ამ წერილზე ღირს უფრო დაწვრილებით ლაპარაკი.

გაზეთი წერს, რომ ამერიკულმა ბეისბოლმა ამას წინათ „სერიოზული გამოცდა" გაიარა.

მთელმა მსოფლიომ იცის, რა სისხლიანი ამბები დატრიალდა ოქტომბერში სან-ფრანცისკოს, ზანგების უბანში. ზანგების წინააღმდეგ, რომელთაც დემონსტრაცია მოაწყეს თავიანთი უფლებების დასაცავად, გამოვიდნენ პოლიცია და ეროვნული გვარდიის რაზმები. რამდენიმე კაცი მოკლეს, ბევრი მძიმედ დაიჭრა. „უწესრიგობისგან თავის დაზღვევის მიზნით" ზანგებს აუკრძალეს საღამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე ქუჩაში გამოსვლა.

მაგრამ ქალაქის მერმა ჯ. შელიმ ყველა ეს „ღონისძიება" უკმარად ჩათვალა და დემონსტრაციის თავიდან აცილების მიზნით მოიშველია... ბეისბოლი. სწორედ იმ საღამოს ატლანტში ტარდებოდა ამერიკის ორი პოპულარული გუნდის — „გიგანტებისა" და „ყოჩაღი ბიჭების" მატჩი. შეხვედრის გადაცემას სან-ფრანცისკოს ტელევიზია არ აპირებდა, მაგრამ მერი იმ დღესვე დაუკავშირდა ატლანტს, მოელაპარაკა სატელევიზიო კომპანიებსა და ბეისბოლისტთა გუნდების ხელმძღვანელობას და აი, გადაწყდა მატჩის ტელევიზიით გადაცემა.

სან-ფრანცისკოს 9 რადიოსადგური განუწყვეტლივ იუწყებოდა ამ ახალ ცნობას. ბეისბოლის ცნობილი ვარსკვლავი ვ. მეილი მაყურებლებს „სასტიკ, სისხლისმღვრელ" ბრძოლას დაჰპირდა და მოუწოდა, ამ საღამოს ტელევიზორებს არ მოსცილდეთო.

დასავლეთგერმანული გაზეთი შენიშნავს, რომ ყველა დემონსტრაციის ამ მეთოდებით აღკვეთა შეუძლებელია, „მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ამერიკელებმა ცადეს სპორტული ღონისძიება პოლიტიკურ დამაწყნარებელ საშუალებად გამოეყენებინათ".

ფეხბურთი

## მსოფლიო ჩემპიონის წარმატება

შაბათს, ბელფასტში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ირლანდიისა და ინგლისის ეროვნული გუნდები.

თუმცა მცირე ტერიტორიული უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო, თამაშის დასაწყისში ინგლისელებმა გოლის გატანის 100-პროცენტიანი შანსი დაკარგეს, — 21 წლის ფეხბურთელმა ბოლმა ახლო მანძილიდან დაარტყა და ბურთი პირდაპირ მეკარეს მოახვედრა.

მე-40 წუთზე ჰანტმა პიტერსის გასწვრივი გადაცემა მიიღო და 11-მეტრიანი საჯარიმო ნიშნიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში: 1:0 ინგლისელთა სასარგებლოდ.

შეხვედრის მეორე ნახევარი უხეშობით დაიწყო. ინგლისელ მცველებს კოენს და სტაილსს უჭირდათ ირლანდიელების — ბესტისა და დუგანის შეკავება. სტაილსმა და დუგანმა ხელჩართული ბრძოლაც კი გააჩაღეს. მასპინძელთა გარემარბმა, 20 წლის ბესტმა შავ დღეში ჩააგდო ინგლისელთა დაცვა, მისი ყოველი გარღვევა სახიფათო იყო, მაგრამ მას პარტნიორებმა ვერ აუბეს მხარი.

როგორც [illegible] იყო ინგლისელთა [illegible] მე-60 წუთზე [illegible] ჩარლტონის წამოწყებული კომბინაცია პიტერსმა გოლით დააგვირგვინა — 2:0. შემდეგ მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ირლანდიელთა მარჯვენა გარემარბი ფერგიუსონი, რომელმაც ბოლს გაარტყა. ანგარიში აღარ შეცვლილა. სტუმრებმა გაიმარჯვეს (2:0), მაგრამ როგორც ინგლისელი ფეხბურთის მიმომხილველები აღნიშნავენ, თამაშის მაღალი კლასი ვერ აჩვენეს.

(საქ. ინფ.).

ევროპის პირველობა

## ფრე კარდიფში

შაბათს კარდიფის „ნინიენ-პარკის" მინდორზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შერჩევითი მატჩი უელსისა და შოტლანდიის ეროვნულ გუნდებს შორის.

უ ე ლ ს ი: სპრეიკი, როდრიგესი, უილიამსი, ჰენესი, ინგლენდი, ჰოული, რიისი, ჯარვისი, რ. დეივისი, უ. დეივისი, ჯონსი.

შ ო ტ ლ ა ნ დ ი ა: ფერგიუსონი, გრეგი, გემელი, ბრემნერი, მაკ-კინონი, ბაქსტერი, კლარკი, ჯონსტონი, მაკ-ბრაიდი, ლოუ, ჰენდერსონი.

პირველივე წუთებიდან აშკარა გახდა, რომ ტექნიკით შოტლანდიელები ჯობდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ტექნიკას ათლეტური თამაში დაუპირისპირეს. მიუხედავად ამისა, მცირე უპირატესობა მაინც შოტლანდიელთა მხარეს იყო. თანდათანობით მოთამაშეებმა უხეშობა დაიწყეს, მინდორზე აქა-იქ ჩხუბიც კი ატყდა. მატჩის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0.

მეორე ტაიმი შოტლანდიელთა იერიშით დაიწყო და მეკარე სპრეიკმა რამდენჯერმე იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. ფეხბურთელები კვლავ უხეშობდნენ. „მათი თამაში ფეხბურთს არ ჰგავდა, ეს იყო ბრძოლა", ასე დაახასიათა მატჩი ცნობილმა ინგლისელმა მიმომხილველმა ბ. სონდერსმა. 77-ე წუთზე უელსელმა რიისმა კუთხური ჩამოაწოდა და ცენტრალურმა თავდამსხმელმა რონ დეივისმა ანგარიში გახსნა — 1:0, მაგრამ გოლით დაგვირგვინდა შოტლანდიელთა ერთ-ერთი სახიფათო კონტრშეტევაც 87-ე წუთზე. მაკ-ბრაიდის ძლიერი დარტყმის შემდეგ მეკარე სპრეიკმა ბურთი ვერ შეაჩერა და ლოუმ იგი ბადეში გაახვია — 1:1. მატჩი ამ ანგარიშით დამთავრდა.

(საქ. ინფ.).

## 2:1

**პარიზი, 24 ოქტომბერი.** VII ჯგუფში საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა აღმავლობით ჩაატარა მატჩი პოლონეთის გუნდთან და დაამარცხა იგი — 2:1.

## იტალიის ნაკრები თუ „ინტერი"

იტალიის ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა ფ. ვალკარეჯიმ თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს პასკუალეს გადასცა იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაგანაც უნდა შედგეს გუნდი 1 ნოემბერს მილანის „სან-სიროს" მინდორზე სსრ კავშირის ნაკრებთან სათამაშოდ. გაზეთი „პაეზე სერა" წერს, რომ ფაბრის ნაკრებისაგან განსხვავებით, ვალკარეჯიმ ახალი ნაკრების ჩონჩხი „ინტერის" ფეხბურთელთაგან შეადგინა (სარტი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ლანდინი, ბედინი, გუარნერი, პიკი, მაცოლა, კორსო, დომენგინი). „პაეზე სერას" მიმომხილველს ა. ბისკარდის მიაჩნია, რომ 1 ნოემბერს იტალიას ასეთი გუნდი ეყოლება: სარტი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ბიანკი (ბედინი), გუარნერი, პიკი, დომენგინი, იულიანო, მაცოლა, კორსო, რივა. როგორც ხედავთ, ნაკრებში მხოლოდ 3 მოთამაშეა იტალიის სხვა კლუბებიდან: ბიანკი და იულიანო („ნაპოლი") და რივა („კალიარი").

„საბჭოთა ნაკრებს მილანში ფაბრის გუნდისაგან განსხვავებული ნაკრები შეხვდება. „ინტერის" ფეხბურთელები, რომლებმაც ნაწილობრივ მოახდინეს იტალიური ფეხბურთის რეაბილიტაცია მოსკოვის მატჩში „ტორპედოსთან", მილანში ეცდებიან დაავიწყონ იტალიელ მაყურებლებს სამარცხვინო დამარცხებები საბჭოთა ნაკრებთან მოსკოვსა და სანდერლენდში. საყურადღებოა, რომ ვალკარეჯიმ უყურადღებოდ არ დატოვა ისეთი ფეხბურთელები, როგორც კორსო და პიკი. „ფეხბურთი კომპლექსური თამაშია — იგი კუნთების ენერგიის ხარჯვასთან ერთად მოითხოვს კარგ სტრატეგიულ და ტაქტიკურ აზროვნებას. გუნდი, რომელშიც 11 სივორი ან 11 კორსო იქნებოდა, ვერასოდეს ვერ შეძლებდა თამაშს ფიზიკურად ძლიერი, დისციპლინირებული გუნდის წინააღმდეგ. მაგრამ ფიზიკურ მომზადებასთან და კოლექტიურ თამაშთან ერთად გუნდს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური კლასიც. ეს ყველაფერი ელემენტარული ჭეშმარიტებაა და ვიმედოვნებთ, რომ 1 ნოემბერს იტალიის ნაკრები გვიჩვენებს, რომ ინგლისის გაკვეთილმა უქმად არ ჩაიარა", — წერს ა. ბისკარდი.



▲ **პრაღა.** აქ გამოცხადდა, რომ 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს კალათბურთელ ქალთა V ჩემპიონატში. უკვე ცნობილია 9 მონაწილე: სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, გდრ, ბულგარეთი, აშშ, მექსიკა, სამხრეთ კორეა, იაპონია და ავსტრალია. კიდევ უნდა გამოვლინდეს 3 ფინალისტი — სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და დასავლეთ ევროპის ზონებიდან.

▲ **მაინერტსჰაგენი (გფრ).** ადგილობრივ ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება თხილამურებით ხტომაში. გაიმარჯვა ვირკოლამ (ნორვეგია), რომელმაც 215,3 ქულა მოაგროვა. იგი 58,5 და 57 მეტრზე გადახტა. II იყო ავსტრიელი ბახლერი — 208,7 ქულა, III — ილე (გფრ) — 206,2 ქულა.



ასეთი სანახაობა ლონდონისთვის ჩვეულებრივი რამაა, თუმცა მცირეწლოვანთა კრივი აგერ უკვე რამდენი ხანია, რაც აკრძალეს. ამ სურათზე აღბეჭდილია 15-წლიანთა ბრძოლის ერთ-ერთი მომენტი, რომელსაც სჯიდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალთა შორის ფ. პატერსონი.

## დონ შოლანდერი ემზადება



სურათზე: დ. შოლანდერი.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მოცურავეთა ტურნირში ნამდვილი გმირობა ჩაიდინა ამერიკელმა დონ შოლანდერმა, რომელმაც თავისუფალი სტილით ცურვაში სამ დისტანციაზე გაიმარჯვა და მერე, ესტაფეტაში, ოქროს მეოთხე მედალიც დაისაკუთრა. ამ ტრიუმფის შემდეგ შოლანდერი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენი გახდა მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატების, ოლიმპიადისა და მსოფლიოს რეკორდსმენი ყველას მიუწვდომელი ეგონა და მისგან ახალ რეკორდებს მოელოდნენ, მაგრამ საქმეში ჩაერია... ავადმყოფობა, რის გამო ექიმებმა შარშან თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში აუკრძალეს სპორტსმენს ტურნირებში მონაწილეობა.

და აი, წლეულს შოლანდერი კვლავ დაუბრუნდა ცისფერ ბილიკს, მალე აღიდგინა ფორმა და მარტო აგვისტოში მსოფლიოს 4 რეკორდი დაამყარა: 1 აგვისტოს ლოს-ანჯელოსში გამართულ შეჯიბრებაში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით აჩვენა 1.57,2, სამი კვირის მერე ლინკოლნში 1 წამით გააუმჯობესა თავისი ბრწყინვალე შედეგი. ერთი დღით ადრე მან აქვე მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — 4.11,6 (იგი შემდეგ გერმანელმა ფ. ვიგანდმა „წაართვა" — 4.11,1). მერე შოლანდერი ვანკუვერში 220 იარდზე გამოვიდა და აქაც სარეკორდო შედეგი აჩვენა — 1.57,0. არც 100 მეტრზე ცურვაში შეურცხვენია თავი. მართალია, რეკორდს ვერ შეწვდა, მაგრამ ტოკიოში ნაჩვენები „ოქროს შედეგი" (53,4) 0,2 წამით გააუმჯობესა.

შოლანდერის ნიჭსა და დიდ პოტენციურ ძალას ნათლად ადასტურებს ის, რომ 1963 წლიდან მოყოლებული, მან ექვსჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე ცურვაში და სამჯერ — 400 მეტრზე. იგი რეკორდების თანაავტორია 4×100 და 4×200 მეტრზე ცურვაშიც. ბოლო წლებში ამგვარი წარმატებისათვის არც ერთ სპორტსმენს არ მიუღწევია მთელს დედამიწაზე.

როგორც იუგოსლავიური გაზეთი „სპორტი" იუწყება, შოლანდერს (იგი კლუბ სანტა-კლარაში ც. ჰეინეს ხელმძღვანელობით ვარჯიშობს) ჰკითხეს — როგორია მისი სამერმისო გეგმა და დღის რეჟიმი?

აი, რა უპასუხა სპორტსმენმა:

— მეხიკოში ტოკიოს ამბების გამეორებას ვაპირებ. რაც შეეხება დღის რეჟიმს, მოკლედ გეტყვით: დღე-ღამეში 14 საათი მძინავს. ვდგები 8 საათზე, ყოველდღიურად 4 საათს ვვარჯიშობ (8-10 კილომეტრს ვცურავ), ვიკვებები ექიმების მიერ შედგენილი რაციონით და თავს ჯანმრთელად ვგრძნობ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ...

**მძლეოსნობა.** 25 ოქტომბერი: „დინამოს" სტადიონი. ამხანაგური მატჩი საქართველო — უზბეკეთი. დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.